პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 ოქტომბერი პარასკევი 1969 წელი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 236 (14536)

ლენინგრადელ ბოლშევიკთა ბრძოლის 50 წლისთავზე

მაღაროთა მშენებლები

ბიათურა. (საკ. კორ.). ათი წელია, რაც მარგანეცის ტრესტს გამოეყენენ მაღაროთა მშენებლები და შეიქმნა „საქმიატმშენის“ № 7 ტრესტის ბიათურის სამშენებლო სამმართველო. მისი კოლექტივი აღმავლობით შრომობს, პირნათლად ასრულებს სახელმწიფო დავალებებს აი ორიოდე ციფრი: 1959 წელს სამმართველოს კოლექტივმა გაიყვანა 2.816 გრძივი მეტრი გვირაბი, ხოლო 1968 წელს — 6.000 მეტრი. წელს გაყვანილია და ბეტონით გამაგრდება 7.000 მეტრზე მეტი გვირაბი. სამმართველოს კოლექტივმა ააშენა ახალი მაღაროები მერეკვში, ითხვისში, მღვიმევში, დარკვეთისა და ზედა რგანში, სამმართველოს კოლექტივი ამაყობს, რომ მან ააგო მარგანეცის ქალაქის მშვენება — კულტურის სასახლე. აღსანიშნავია, რომ მწყობრში ჩამდგარ ახალ საწარმოთა ყოველწლიური სიმძლავრე რამდენიმე მილიონი ტონა მარგანეცია. ამჟამად სამმართველოს კოლექტივი ამშენებს რგანისა და ზედა რგანის მაღაროებს, რომლებიც წელს უნდა დამთავრდეს. თვითეულის წლიური წარმადობა 100 ათასი ტონა მარგანეცი იქნება. მომავალ წელს დამთავრდება დარკვეთისა და ითხვისის ახალი მაღაროების მშენებლობა, რაც სწრაფად მიმდინარეობს. ახალი ტექნიკის გამოყენებით, მეცნიერების მიღწევათა დანერგვით, სამუშაო დროის ყოველი წუთის ეფექტური გამოყენებით მშენებლებმა გვირაბების გაყვანის ტემპი ორჯერ გაზარდეს.

ერთიანდებიან ენერგეტიკულად ბალტიისპირეთი

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონის მრეწველობის ფლაგმანი — ხალიჩების კომბინატი იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. იზრდება კოლექტივის აქტივობა. გაუცნენ რა რუსთავის ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის მუშას ე. კოწიწაშვილის თაოსნობას, მეხალიჩეებმა გადაწყვიტეს მთელი ძალები მოახმარონ ლენინური იუბილეს წარმატებით შეხვედრას. ეაკარდული საამქროს ქვეოსტატებმა ნ. ჩიქობავამ და დ. კობახიძემ გადაწყვიტეს ნაცვლად 4 დაზგისა 5-5 დაზგას მოემსახურონ, ივლაში დაზოგონ 680 დაზგა-წუთი, რითაც გეგმის გადამეტებით გამოუშვან 6.240 მეტრი ხალიჩა.

კომბინატში ე. კოწიწაშვილის მიმბაძველთა რიცხვი იზრდება.

დროშა — ოცდამეხუთედ

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). დედაქალაქის № 2 თამბაქოს ფაბრიკა (დირექტორი ა. კეკელია, მთავარი ინჟინერი ვ. მამფორია) ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საწარმოთა შორის. ფაბრიკის კოლექტივი ზედიზედ 25 კვარტალია, რაც გარდამავალ წითელ დროშას ფლობს. აქედან ათი რესპუბლიკურია, ცხრა — საკავშირო კვების მრეწველობის სამინისტროსი, ხოლო ექვსი — საკავშირო მინისტრთა საბჭოსი.

სწორედ ამ წარმატებებმა განაპირობეს ის, რომ საწარმოს მიმდინარე წელს კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო წოდება მიენიჭა, რასაც მეთამბაქოეებმა გაორკეცებული ენერგიით უპასუხეს. 9 თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით — 113,7 პროცენტით შესრულეს.

ოქტომბერი თესვის გადამწყვეტი თვეა

ამემოდგომა სოფლად პასუხსაგები პერიოდია. შემოდგომაზე ბევრი გადაუდებელი საქმეა. მიმდინარეობს ყურძნის, ხილის, ჭარხლის, სიმინდის, ბოსტნეულის აღება, მზრალად ხვნა, თესვა... ერთი სიტყვით, ყველა ეს სამუშაო დაყოვნებას ვერ მოითმენს. ამიტომ მთავარია მოზღავებულმა სამუშაოებმა ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. კარგი მეურნე ის არის, ვინც შრომას სანიმუშოდ მოაწყობს, ყველა სამუშაოზე გაანაწილებს მუშახელს, ტექნიკას, ამოქმედებს არსებულ რეზერვებს.

სხვა გადაუდებელ სამუშაოებთან ერთად სოფლად მასობრივად მიმდინარეობს საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა. ამ მეტად პასუხსაგებ სამუშაოს აგროვადებში და აგროწესების ზუსტად დაცვით შესრულება 1970 წლის უხვი მოსავლის მიღების საფუძველია.

უკანასკნელი დღეების წვიმების გამო ამჟამად თესვის ობიექტური პირობები თითქმის ყველგან კარგია. ტექნიკა საშემოდგომო თესვის საუკეთესო ვადებში შესრულების საშუალებას იძლევა. საჭიროა მხოლოდ უნარიანად გამოვიყენოთ ეს ტექნიკა, მორალურად და მატერიალურად დავინტერესოთ ადამიანები სამუშაოთა კომპლექსის წარმატებით შესრულებაში.

წითელწყაროელ მხვნელ-მთესველებს როგორც ყოველ წელს, ისე წელსაც საშემოდგომო ნათესები საიმედო პურეულის მარაგად მიაჩნიათ, მათ წელს, მიუხედავად ჭირვეული ამინდისა, 26.912 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერი საშემოდგომო პურეულის მოსავალი მიიღეს. რაიონის მხვნელ-მთესველებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად, გადაწყვიტეს 25.334 ჰექტარზე საშემოდგომო თესვა აგროვადებში შეასრულონ და მოიყვანონ პურეულის უხვი მოსავალი.

მეცნიერული გამოკვლევებითა და პრაქტიკით დადგენილია, რომ ადგილობრივ პირობებთან შეგუებული თესლით ნათესი უფრო უხვ მოსავალს იძლევა. ამიტომ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებებში მტკიცე მოთხოვნაა: მეურნეობებში და კოლმეურნეობებში დასათესად გამოიყენონ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი წარმოების თესლი.

ამ მხრივ რესპუბლიკაში საერთოდ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. საშემოდგომო კულტურების საკუთარი და მაღალხარისხოვანი თესლის წარმოების კარგი ტრადიციაა დამკვიდრებული სოფლის, ახმეტის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, ყვარლის, ჭარელის, კასპის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ხაშურის, გარდაბნის, ბორის, მცხეთისა და სხვა რაიონებში. რესპუბლიკაში ყოველ წელს ფართოდ ვრცელდება სელექციონერების მიერ შექმნილი მაღალპროდუქტიული ჯიშები, უფრო მოფიქრებულად წარმოება მათი დარაიონება.

აგროწესით საშემოდგომო ხორბლისა და ქერის თესვის დაწყებამდე 5 დღით ადრე მაინც უნდა იყოს თესლი. მიუხედავად ამისა, ეს წესი დაარღვიეს ახალქალაქის რაიონის მხვნელ-მთესველებმა. აქაურებს აგროვადების მიხედვით 1.845 ჰექტარზე თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა ჯერ კიდევ 10 სექტემბრისათვის უნდა დაემთავრებინათ, მაგრამ აღნიშნული სამუშაო 6 ოქტომბრისათვის არ ჰქონდათ შესრულებული.

ვფიქრობთ, საერთო აზრს გამოვხატავთ, თუ ვიტყვით, რომ შეუწყნარებელია მეურნეობის ამ ხელმძღვანელთა ქცევა, რომლებიც საკუთარი წარმოების თესლზე არ ზრუნავენ და მით უმეტეს თესვის მომენტში. საკმაო რაოდენობით არა აქვთ კონდიციური თესლი. რას ფიქრობენ თიანეთის, ბორჯომის, წყალტუბოს, წულუკიძის, ონის და სხვა რაიონების ხელმძღვანელი ამხანაგები, როცა თესვის მასობრივად მიმდინარეობის დროს კონდიციური თესლის საკმაო მარაგი არა აქვთ.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საშემოდგომოდ თავთავიანი მარცვლეული კულტურები 201.954 ჰექტარზე უნდა დათესოს. აგროვადებში ეს სამუშაოები ყველგან ოქტომბერში უნდა დამთავრდეს. ადგილებიდან მიღებული სიგნალები მოწმობენ, რომ სოფლის პარტიული ორგანიზაციები, სპეციალისტები, მხვნელ-მთესველები საკმაოდ შეუდგნენ საშემოდგომო თესვის. საგარეჯოელებმა უკვე დათესეს 10 ათასამდე ჰექტარზე მეტი თავთავიანი მარცვლეული კულტურები. თესვის ტემპს ყოველდღე აძლიერებენ წითელწყაროს, გარდაბნის, ხაშურის, მარნეულის, ჭარელის, ბორის, კასპის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, მცხეთისა და სხვა რაიონები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 9.771 ჰექტარზე საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურები უნდა დათესონ 20 ოქტომბრამდე. დრო არც ისე ბევრია. ფაქტიურად აღნიშნული სამუშაო სანანახეროდაც არა აქვთ შესრულებული. შარშანაც არ ჰქონდათ წარმატებები. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ წელს ჰექტარზე საშუალოდ მხოლოდ 10 ცენტნერამდე პურეულის მოსავალი მიიღეს. ცხადია, თუ ასე გაგრძელდა მომავალ წელსაც, უხვ მოსავალს ვერ მიიღებენ. ამიტომ სანამ დრო არის, მხვნელ-მთესველებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სოფლის ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივი პირობები, თესვის ოპტიმალური ვადები, ნიადაგის კარგი დამუშავება, ტექნიკის უნარიანად გამოყენება. ყოველივე ამით შესაძლებლობა გვექნება დავძლიოთ ჩამორჩენა და მივაღწიოთ პურეულის უხვი მოსავლის მიღებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა წამოაყენა ამოცანა — უახლოეს დროში პურეულის საშუალო წლიური წარმოება ავიყვანოთ 190-200 მილიონ ტონამდე. ამისათვის საჭიროა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში 5-6 ცენტნერით ავამაღლოთ მარცვლეულის „მოსავლიანობა ჰექტარზე. ცხადია, საშემოდგომო პურეულის მოვლა-მოყვანის გაუმჯობესება, მოსავლიანობის გადიდება გადამწყვეტ როლს შეასრულებს ამ ამოცანის განხორციელებაში.

საშემოდგომო თესვის აგროვადებში და წარმატებით შესრულება დამოკიდებულია საშემოდგომო ხვნის დროულად დამთავრებაზე, ამ მხრივ მუშაობის ტემპი უნდა დაიჩქარონ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თელავის, ლაგოდეხის, ყვარლის, ლანჩხუთის, ბაღდათის, ონის, ამბროლაურის, ონის, ბაღდასარის, ბაღდადის, ხონის, ზესტაფონის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ფოთის, ხობის, ზუგდიდის, ანაკლიის, ფოთის, ხაშურის, ბორ

კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობის შესახებ

დიად მიღწევათა გზით

სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეები განიხილავენ სასოფლო-სამეურნეო არტელის ნესდების პროექტს

ბაკაბული შრომით არის აღსავსე სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობების ყოველდღიური ცხოვრება. ყველგან — ყანებსა და ფერმებში, ბაღებსა და ბოსტნებში — ხალხი ცდილობს წარმატებით დაამთავროს სამეურნეო წელი, კარგი საძირკველი ჩაუყაროს მომავალი ყლის მოსავალს, შეასრულოს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. ერთსულოვან, ნაყოფიერ მუშაობას ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო ნესდების პროექტის განხილვა, რომელიც ფართოდ გაიშალა. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს მიეძღვნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობათა დელეგატების კონფერენცია, რომელიც ცხინვალში გაიმართა 9 ოქტომბერს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობისათვის აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე.

კონფერენცია გახსნა საკოლმეურნეო მოძრაობის veteranმა, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრმა ხ. ნ. კაბისოვმა.

კონფერენციამ აირჩია საქმიანი პრეზიდიუმი, სამდივნო და სამანდატო კომისია.

ტაშის გრიალში კონფერენციის დელეგატებმა აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

მოხსენება სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების პროექტის შესახებ გააკეთა სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ნ. ჯუსოევმა.

კოლმეურნეთა საოლქო კონფერენციას, თქვა მომხსენებელმა, წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. სოფლის კომუნისტები იყენებდნენ პოლიტიკური აგიტაციისა და პროპაგანდის სხვადასხვა ფორმას და არტელის ახალი წესდების პროექტის შინაარსს აცნობდნენ თითოეულ მშრომელს, მოუთხრობდნენ მათ, თუ რა გარდაქმნები მოხდა ოლქის სოფლებში, რომ გამიმარჯვა ლენინის კოოპერაციულმა გეგმამ. საუბრების დროს პოლიტიფორმატორები და აგიტატორები ფართოდ იყენებდნენ საარქივო დოკუმენტებს ოსური სოფლის წარსულზე, კოლმეურნეობათა წლიურ ანგარიშებს, მეტ წილ სოფლებში მოეწყო ახალგაზრდობის შეხვედრები საკოლმეურნეო მოძრაობის veteranებთან. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კოლმეურნეთა შემოქმედებითს აქტივობას, კიდევ უფრო გაზარდა ზრუნვა სოფლის მეურნეობის საკითხებზე პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ღირსშესანიშნავი თარიღის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი გადიდებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, სანიმუშო წესდების პროექტის განხილვაში მონაწილეობდა 15 ათასზე მეტი კოლმეურნე, რომელებმაც ერთსულოვნად მოიწონეს იგი.

მომხსენებელმა მოიყვანა საკოლმეურნეო წარმოების ზრდის, სოფლად მომხდარი გარდაქმნების მრავალი მაგალითი. 1965-1968 წლებში წინა ოთხ წელთან შედარებით გამოშვებულია 5.384 ათასი მანეთით მეტი ღირებულების მთლიანი პროდუქცია. 4.022 ჰექტარზე გაშენდა ახალი ბაღები, მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეულის, ხილის, ჩაქრის ჯარხლის, ბოსტნეულის მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რაც შესაძლებლობას გვაძლევს დავამზადოთ ათეულ ათასობით მეტი ცენტნერი ხორცი და რძე, ვიდრე სამი-ოთხი წლის წინათ ვამზადებდით.

კოლმეურნეობებში აშენდა ასობით ტიპობრივი საწარმოო ნაგებობა, ახალი სკოლები, კლუბები, მაღაზიები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. ახლა სამხრეთ ოსეთის მთებში იშვიათი მოვლენა აღარ არის კეთილშენყობილი საცხოვრებელი სახლი.

ოლქის ფარგლებს გარეთ შორს გაითქვეს სახელი მეურნეობებმა, სადაც წლითიწლობით იწევენ უხვ მოსავალს, სადაც იზრდება პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა. ასეთებია, მაგალითად, სოფელ ორჯონიძის კოლმეურნეობა, რომელსაც შრომის წლიური დროშის ორდენი მიენიჭა, სოფელ ქეშელთის კოლმეურნეობა, რომელმაც რესპუბლიკურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მოიპოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს სამახსოვრო წლიური დროშა, დმენისის, ავნევისა და წინაგრის კოლმეურნეობები, რომელებსაც მიენიჭათ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომისა და პროფსაბჭოს სამახსოვრო წიგნები დროშები.

ამხ. ჯუსოევმა დაასახელა სოფლის წარჩინებული ადამიანები, საკოლმეურნეო მოძრაობის veteranები, ახალგაზრდა მშრომელები — ყაირათიანი მეურნენი და ახალი წარმატებებისათვის, წარმოების ინტენსიფიკაციისათვის მებრძოლები. ოლქის მშრომელები დიდ პატივს სცემენ პირველი კოლმეურნეობების ორგანიზატორებს მართა პლიევას, მატრონე დეკანოძეს, ზაქარია ელოევს, სანდრო ჩიტიშვილს, გრიგოლ ჯაგაევს, საველი კაბისოვს, უხუცეს კოლმეურნეებს რეზო ბერუაშვილს, ზაურბეგ ვალიევს, ივანე კუსრაევსა და ბევრ სხვას. მათი შემოქმედებითი შრომა, მათი საქმენი ყოველთვის იყო და კვლავაც იქნება სამაგალითო ახალგაზრდობისათვის.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი როლი შეასრულა 34 წლის წინათ მიღებულმა წესდებამ კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში, აღნიშნა, თუ რატომ გახდა საჭირო მისი შეცვლა ახალი სანიმუშო წესდებით. ამ დოკუმენტის დიდ პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობას მოწმობს ის, რომ ახალი წესდების შემუშავებელ კომისიას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

სანიმუშო წესდების პროექტში, განაგრძობს ამხ. ჯუსოევი, ასახულია სოფლად ახალი ცხოვრების შენებლობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ლენინურ კოოპერაციულ გეგმაში. ახალი წესდება სავსებით შეესაბამება როგორც ხალხის, ისე სახელმწიფოს ინტერესებს. აი რატომაა, რომ წესდების განხილვამ მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა. მოიწონეს რა წესდების თითოეული დებულება, კოლმეურნეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან ახალი ენერგიით იშრომონ ყანებში, პლანტაციებში, ფერმებში, მიიღწიონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალ აღმავლობას.

მომხსენებელმა დაასახელა კრებებზე კოლმეურნეთა მიერ გამოთქმული მთელი რიგი სურვილები, წინადადებანი და დამატებანი წესდების პროექტისადმი. ლენინგორის რაიონის სოფელ ორჯონიძის კოლმეურნეთა აზრით ამ მოსამსახურეთა ოჯახებმა, რომლებიც კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და არავითარ მონაწილეობას არ იღებენ საზოგადოებრივ შრომაში, არ უნდა ისარგებლონ საკოლმეურნეო საძოვრებითა და სათიბებით. ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუხის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა წინადადება წამოაყენეს წესდებაში შეიტანონ ახალი პუნქტი პროფკავშირში მწველავთა, ძროხის მომვლელთა და ფერმების სხვა მუშაკთა მიღების შესახებ. მთელი რიგი მთის სოფლების კოლმეურნეობათა წევრებმა სურვილი გამოთქვეს, რომ წესდებამ ნება დართოს მათ პირად სარგებლობაში იყოლიონ მეტი ძროხა, ცხვარი, თხა, ხოლო ფრინველი და სკა განუსაზღვრელი ოდენობით, ვინაიდან მთის კოლმეურნეობები ეკონომიურად ხუსტი არიან.

სოფლად ცხოვრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით წამოყენებულია ბევრი საყურადღებო წინადადება, კოლმეურნე ქალებმა, კერძოდ, აღნიშნეს, რომ საჭიროა გაიზარდოს სახავშვო ბაღებისა და ბაგების რიცხვი, გაფართოვდეს საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი.

სოფლის მშრომელებმა დასვეს საკითხები, რომლებიც ითვალისწინებენ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, საკოლმეურნეო წარმოების რენტაბელობის ამაღლებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. საჭიროდ ცნეს გაუჯრობლდეს მერგოლურთა, ბრიგადირთა, ფერმის გამგეთა კადრების მომზადება. კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ამაღლებისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების მიზნით წამოაყენეს წინადადება წესდების პროექტში შეიტანონ პუნქტი: „ამათთვის, ვინც კოლმეურნეობებში განსაკუთრებით გამოიჩენს თავს, დაწესდეს „საკოლმეურნეო წარმოების აქტივისტის“ წოდება და გადაეცეს საკეთილო ნიშანი. ამ წოდებას მიანიჭებენ რაიაღმასკომების გადაწყვეტილებით კოლმეურნეთა საერთო კრების წარდგენით.

ახალი წესდების პროექტის განხილვას თან ხდევს კოლმეურნეთა საქმიანი აქტივობის ზრდა ოლქის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო გახავთარებლად, მოწამოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად. ცუდი ამინდის მიუხედავად, სოფლის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ წარმატებით დაამთავრონ სამეურნეო წელი. მუშაობენ დევზით: მოკლე აგროტექნიკურ ვადებში დავამთავრთ მოსავლის აღება, სანმეოდგომო თესვა, სანიმუშოდ დავამუშაოთ ბაღ-ვენახები. მეცხოველენი ცდილობენ ორგანიზებულად დაამთავრონ ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გადარეკვა, უზრუნველყონ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება. ეგებებიან რა თავის ყრილობას, კოლმეურნეები ასრულებენ საიუბილეო წლის შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს.

საამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ამბობს დასასრულ მომხსენებელი, ღირსეულად, ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდებიან დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

დავაჩქაროთ საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობა

ზედიზედ ადიან ტრიბუნაზე კონფერენციის დელეგატები. მათი სიტყვები გამსჭვალულია ერთი აზრით: კიდევ უფრო განვავითარო კოლმეურნეობათა ეკონომიკა, მივცეთ სამშობლოს მეტი კვების პროდუქტი, კიდევ უფრო გავაძლიეროთ იგი.

ახალი წესდების პროექტი, ამბობს ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ვ. საბაკაევი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წარმოების მართვის შემდგომ სრულყოფას, კოლმეურნეთა ფართო მასების ჩაბმას ამ მუშაობაში. პროექტში ნათქვამია, კერძოდ, რომ ბრიგადის კრებას შეუძლია აირჩიოს ბრიგადის საბჭოს ძალიან კარგი საქმეა. სწორედ ბრიგადაში ამუშავებენ სამუშაო გეგმებს, სრულყოფენ შრომის ორგანიზაციას, აქ წყდება მოსავლის ბედი. საბჭო მთარს დაუჭერს ბრიგადირის სწორ მოქმედებას, დაეხმარება ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, სიძნელეთა დაძლევაში, წინადადება შემომაქვს შევიტანოთ წესდების პროექტში პუნქტი, რომ ბრიგადის საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ აგრონომი და ინჟინერ-მექანიზატორი. უნდა ჩაიწეროს ისიც, რომ საბჭოს მეტი დამოუკიდებლობა მიენიჭოს შრომის ორგანიზაციის, შეჯიბრების, ნაბალნოსებისა და სასჯელის დადების საკითხების გადაჭრაში. ასეთი საბჭოები, ჩემი აზრით, უფრო ოპერატიულად გადაწყვეტენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში დასახულ ამოცანებს.

მინდა გამოთქვა კიდევ ერთი წინადადება წესდების პროექტის გამო. მე-16 პუნქტში ჩაწერილია რომ კოლმეურნეობის გამგეობისა და ყველა წევრის ვალია დანერგოს ახალი ტექნიკა, მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება. აქ უნდა დაემატოს: კოლმეურნეობის გამგეობა მოვალეა მუდამ ადევნებდეს თვალს მოწინავე მეურნეობათა მიღწევებს, ასწავლიდეს მშრომელებს მათი მაგალითით.

წესდების პროექტი გვინერგავს საკოლმეურნეო წყობილებას ახალ დიდ წარმატებათა რწმენას, შთაგვაგონებს ახალ შრომითს გამარჯვებებს. კოლმეურნეობაში გამოყოფილი მაქვს 16 ჰექტარი ხეხილის ბაღი. მოსავალი ჩინებულია. თვითეული ჰექტარი სულ ცოტა 120 ცენტნერ ვაშლს მომცემს — გეგმაზე ერთიორად მეტს. შევასრულეთ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოწევის ვალდებულებაც. ჩემმა ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეულის დამზადების დავალება. ჩვენ თვითეულ ჰექტარზე 16 ცენტნერი ხორბალი გავლეწეთ.

როცა სანიმუშო წესდების პროექტს ვიხილავთ, ძალაუნებურად თვალს ვავლებთ განვლილ გზას, ვიხსენებთ წარსულს, თქვა ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხრის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. ი. ჩიტიშვილმა. ჩიტიანი, ასე ეწოდებოდა წინათ ჩვენს სოფელს, იგი ერთ-ერთ უღარიბეს სოფლად ითვლებოდა. როცა საზოგადოებრივი მეურნეობა შეიქმნა, აქ ჰყავდათ 94 ცხვარი, 12 ძროხა და 15 უღელი ხარი, რაც შეეხება სახნავებს, მთებში იყო გაფანტული მცირე ნაკვეთებად. ახლა ჩვენს კოლმეურნეობაში 12.000 ცხვარი და 800 ხულამდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია. მეურნეობის წლიური შემოსავალი 375.000 მანეთს აღემატება. უკანამხარე მდიდარი სოფელია, აქ არის ლამაზი სახლები, ელექტრობა, კარგი გზები, კლუბი, სკოლა, სამედიცინო პუნქტი, ყველაფერს ვეუბნები ჩამოვთვალო. შეიცვალა შრომის ხასიათიც. ახლა საძოვრებზე ვგზავნით ადამიანებს, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს. მეცხვარეობის ფერმას გაანგებს დაუსწრებელი სტუდენტი — მომავალი ზოოტექნიკოსი.

მეცხვარეობის ეკონომიკის განმტკიცებას, წინა ხაზის მუშაკთა პროფესიული ოსტატობის ამაღლებას ვუკავშირებთ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტიულ საკითხებს. ახალი წესდების პროექტი დაგვეხმარება ამ დიდ საქმეში. ჩვენ გულდასმით განვიხილეთ კოლმეურნეობაში წესდების პროექტი და წინადადება შემოგვაქვს შეეტანოთ პუნქტი მაღალი მთის კოლმეურნეობების წევრთა პირადი სარგებლობის პირუტყვის რაოდენობის გადიდების შესახებ, რადგან მთა არა აქვთ სხვა შემოსავალი, გარდა მეცხოველეობის პროდუქტებისა, ვფიქრობთ, რომ კოლმეურნეებს ნება უნდა მიეცეთ პირად სარგებლობაში იყოლიონ ორი ძროხა, 80 ცხვარი, ერთი ცხენი.

დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელიც წელს ნოემბერში გაიმართება, მიიღებს კოლმეურნეობის ახალ სანიმუშო წესდებას. იგი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი იქნება, ხელს შეუწყობს კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ სამეურნეო განმტკიცებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას, ხელს უმატებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ანიჭებს — ლენინგორის, ნოემბერის, პენსიონერის ზ. ა. ბალიევის, პარტიის ჯავის რაიონის პირველი მდივნის შ. ბ. ხანიკაევის, ზნაურის რაიონის სოფელ ნულის კოლმეურნეობის ბრიგადირის ი. ხ. ძაბოევის, ცხინვალის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსის ს. ნ. ფარსაველიძის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ო. ბ. პარსადანოვის და სხვების გამოსვლებს.

საკოლმეურნეო წყობილებამ, თქვა ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის არტელის დელეგატმა ნ. რ. გუსოევმა, გლეხებს დიდი დოვლათი მისცა. წინათ ჩვენ ნახევრად მშიერი ვიყავით, ქოხმახებში ვცხოვრობდით, ახლა შენ ალეფილი ვართ. მე ხუთი შვილი მყავს. უფროსებმა — სულიკომ და ალისამ უმაღლესი განათლება მიიღეს, ვენერა და ჯემალი სამხატვრო სასწავლებელში სწავლობენ, უმცროსი კი, ვალერიანი მე-8 კლასის მოსწავლეა. გვაქვს ოთხსართულიანი სახლი. ჩვენზე, სოფლის მშრომელებზე პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად თავდადებით შრომობთ, მოგვეკეთებინა ეს ბოსტანი, ვასრულებთ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის ყველა ვალდებულებას. ამ დღეებში ჩემთვის გამოყოფილ პლანტაციის ნაკვეთში დავიწყებ შაქრის ჭარხლის ამოთხრას. ჰექტარზე სულ ცოტა 900 ცენტნერ ტკბილ ჭარხალს მივიღებ.

ნაყოფიერად მუშაობა ყველა შრომისუნარიან კოლმეურნეს შეუძლია. მაგრამ ყველა როდი იქცევა ასე. კოლმეურნეობის სიმდიდრე, მისი აყვავება კი დამოკიდებულია არტელის ყველა წევრის გამარჯვებაზე. ამასთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, ახალი წესდების პროექტში მეტად რბილადაა ნათქვამი შრომის დისციპლინის დამრღვევთა შესახებ. ზარმაცებსა და გამცდენებს უფრო მკაცრად უნდა მოვეკიცხეთ. იქნებ ჩამოვართვათ ხოლმე არტელის წევრის ზოგიერთი უპირატესობა, გამოუსწორებელნი კი უნდა გაირიცხონ კოლმეურნეობიდან. კიდევ ერთი შენიშვნა. უნდა გავითვალისწინოთ კოლმეურნე პენსიონერთა აზრი სამეურნეო საკითხების გადაჭრისას. ისინი უნდა მოვიწვიოთ ხოლმე კრებებზე, უურად ვიღოთ მათი რჩევა.

ნოემბერში მოსკოვში გაიხსნება კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა. იგი დაწვრილებით განიხილავს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების პროექტს. ჩვენი კოლმეურნეები იმედოვნებენ, რომ ამ განხილვის დროს მხედველობაში იქნება მოლეული მათი წინადადებანიც. საუბრების დროს და კრებებზე ჩვენთან, თქვა ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა შ. ვ. ჯავახიშვილმა, შემოიტანეს შემდეგი წინადადებანი და შენიშვნები წესდების პროექტის გამო:

მიენიჭოს ბრიგადირს მეტი უფლებანი და მოეთხოვოს მთელი კოლექტივის მტკიცე შრომის დისციპლინა; გადიდდეს ჩვენი ოლქის კოლმეურნეობებში საკარმიდამო ნაკვეთები — სარწყავ მიწებზე 0,33-დან 0,35 ჰექტარამდე, ურწყავ მიწებზე 0,35-დან 0,40 ჰექტარამდე; მოწინავე კოლმეურნეები გაიგზავნონ დასასვენებლად ჯანმრთელობის კერებში კოლმეურნეობის ხარჯზე; უფრო მეტად ვიზრუნოთ ქალებისა და ბავშვებისათვის.

წესდების პროექტის განხილვის პერიოდში კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომითი აქტივობა. ამის შედეგად ვადამდე შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმები. ჩვენ სახელმწიფოს მივეცემთ 20 ათას ცენტნერ ბოსტნეულს — 9 ათასი ცენტნერით მეტს, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, 260 ტონა ვაშლს, ერთიორად გადავაჭარბებთ ყურძნის დამზადების ეგეგმას, წარმატებით მიმდინარეობს მზრალად ხვნა და საშემოდგომო თესვა.

კოლმეურნეთა კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის შშობლიურ კომუნისტურ პარტიას ყველაზე უკეთ გადაუხდით მადლობას დამკვრელური შრომით ყანებსა და ფერმებში, თქვა ლენინგორის რაიონის სოფელ ორჯონიძის კოლმეურნეობის მწველავმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს. შ. დრიაევამ. ჩვენ ვიწონებთ ახალი წესდების პროექტს. და ამავე დროს ვფიქრობთ უკეთ ვიმუშაოთ, პირადად მე უკვე შევასრულე წველადობის წლიური გეგმა, ახლა კი ჩაბმული ვარ შეჯიბრებაში იმისათვის, რომ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობისათვის 16 ძროხიდან თითოეულზე გეგმის გადამეტებით მივიღო 100-100 კილოგრამი რძე.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების პროექტი.

კონფერენციამ აირჩია საქართველოს კოლმეურნეთა რესპუბლიკური ყრილობის 17 დელეგატი. (საქდესი).

 კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) ზნაურის რაიონის სოფელ ყორნისის კოლმეურნეობის მწველავი დ. კაზიევა, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი შ. ჯავახიშვილი, ლენინგორის რაიონის სოფელ დადიანეთის კოლმეურნეობის მწველავი რ. ოდიშვილი, ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის კოლმეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადირი გ. ხუბულოვი, ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანი ი. ქრისტესიაშვილი, ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის მებაღეთა ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. საგკაევი, ლენინგორის რაიონის სოფელ ორჯონიძის კოლმეურნეობის მწველავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. დრიაევა, ზნაურის რაიონის სოფელ თიღვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ლოსოვი.

ფოტო ი. დავითაშვილისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲗᲐ ᲒᲖᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მე-8 პლენუმმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები — საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები, პროფკავშირული აქტივი, სამინისტროების, უწყებებისა და ქალაქის მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელები, განიხილა საკითხი, თუ როგორ ასრულებენ რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. ამ საკითხზე მოისმინეს პროფკავშირთა აპარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მ. ეკიზაშვილის, მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის ბ. გამყრელიძის, საფეიერო და ხსუნეკი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის ნ. გოგელიძე, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის ვ. შაბუღიის მოხსენებანი.

კამათში გამოვიდნენ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ვ. ჩოფიკაშვილი, ამბერკაკაციანის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილე კადრების დარგში გ. ჟორჟოლაძე, რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის ძმახავი ე. კოწიშაშვილი, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ი. კაკაშვილი, საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის მინისტრის მოადგილე ო. ჩუბინიშვილი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. გოგელიძე, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ო. ალაგიძე, სოსუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშა მ. აჩბა, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის შახტის უფროსი გ. რაზმაძე, ცხინვალის ყველ-კარაქის ქარხნის ტექნოლოგი ა. ქაბულოვი, ვარკეთილის მეგვინახეობის საბჭოთა მეურნეობის კლუბის გამგე ს. ტატიშვილი.

მომხსენებლებმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ლენინის იუბილესათვის მზადების დროს გაიზარდა მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა, ფართოდ გავრცელდა პატრიოტული წამოწყებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, რეზერვთა გამოყენებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. რესპუბლიკის 369 ათასზე მეტი წარმოების მუშაკი მონაწილეობს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპი მიმდინარე ხუთწლედში უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების — ეროვნული შემოსავლის, სამრეწველო წარმოების მოცულობისა და მოსახლეობის რეალური შემოსავლის მიხედვით — უსწრებს საშეუღლო წლიურ ტემპს, რომელიც გათვალისწინებულია პარტიის 23-ე ყრილობის დირექტივებით. მიმდინარე წლის 8 თვის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია გადამეტებით, ამოქმედებულია 105,3 მილიონი მანეთის ღირებულების ძირითადი ფონდები, სახალხო მეურნეობაში დაინერგა 4.500-ზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც 11,3 მილიონ მანეთ წლიურ ეკონომიას იძლევიან.

ასრულებენ რა თავიანთ საიუბილეო სოციალისტურ ვალდებულებებს, რესპუბლიკის მუუბელი მრეწველობის საწარმოთა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა ხუთწლედის სამ-ნახევარ წელიწადში გეგმის გადაჭარბებით „წარმოეს 1.573 ათასი მეტრი შალის, 5.355 ათასი მეტრი ბამბეულის ქსოვილები და 1.213 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

შეჯიბრების ხელმძღვანელობის, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ზრდისათვის ბრძოლის დადებითი გამოცდილება შეიძინა ინჟინრის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ. კოლექტივმა უკვე შეასრულა ხარისხიანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების ხუთწლიანი გეგმა. მეურნეობის პლანტაციებში ფართოდ ინერგება მექანიზაცია — ჩაის ფოთლის 80 პროცენტზე მეტს კრეფენ „საქართველოს“ მარკის მანქანებით.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე შ. კიკნაძე. მან აღნიშნა, რომ საქართველოს პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით დიდ მუშაობას ეწევიან, რათა დარაზმონ მშრომელები ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე რეალიზაციისათვის.

განხილულ საკითხზე საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმმა მიიღო დადგენილება.

ინფორმაცია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ საქართველოს პროფსაბჭოს მე-7 პლენუმის შემდეგ განხილულ პერიოდში გააკეთა პროფსაბჭოს მდივანმა ნ. ვასაძემ. (საქდესი).

ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ

ᲛᲘᲜᲓᲘᲜᲐᲠᲔ ხუთწლედში დიდი ღონისძიებები ხორციელდება ჩვენს სახალხო მეურნეობაში ელექტრონული გამოთვლითი მანქანების ფართოდ დანერგვისათვის. სათვლელ-კალკულიერნ, სათვლელ-პერფორაციულ და ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს, რომლებმაც უკვე მოიპოვეს ფართო აღიარება, სოფლის მეურნეობაში იყენებენ როგორც ინდივიდუალური სარგებლობისათვის, ისე ცენტრალიზებული წესით მანქანა-საანგარიშო ბიუროებში და სადგურებში.

მექანიზებული აღრიცხვის პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს საღრიცხვო ანარიცხის რიცხობრივი შემცირება. სათვლელ-პერფორაციული მანქანების ერთი კომპლექტით შეგვიძლია უზრუნველყოთ 2.500 მუშაკის ხელფასების დარიცხვა და გამოვთვალისუფლოთ საღრიცხვო დარგის 100 ერთეული მუშაკის 22 პროცენტი.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის საგეგმო-ეკონომიური დარგის მუშაკები ძალიან გადატვირთული არიან და მათი ამოცანები საკმაოდ დიდია. მეურნეობის გაფართოების პერსპექტიული და წლიური გეგმების შედგენა, შიდასამეურნეო დაგეგმვა, ოპერატიული გეგმისა და ტექნოლოგიური რუკის დამუშავება და ა. შ. ამ სამუშაოების მექანიზებულად დამუშავება კი მიზანშეწონილია იმიტომაც, რომ ისინი შეიძლება შესრულდეს არა ეგრეწოდებული „პაკის“ დ

საერთაშორისო ცხოვრება

დამთავრდა ზოგადპოლიტიკური დისკუსია

გენერალური ასამბლეის 24-ე სესიაზე

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 24-ე სესიაზე გუშინ საღამოს დამთავრდა ზოგადპოლიტიკური დისკუსია. 115 ქვეყნის წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნადან გამოთქვეს თავიანთი თვალსაზრისი თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.**

ზოგადპოლიტიკური დისკუსიის თითქმის ყველა მონაწილემ გამოთქვა სერიოზული შეშფოთება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ბედის გამო და ამიტომ შეშფოთებითი როდია, რომ სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციები დიდი ინტერესით შეხვდნენ მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსადმი მიმართული პროექტს, რომელიც მომდინარე სესიის განსახილველად შეიტანა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში აღნიშნავენ, რომ წელს საბჭოთა კავშირი არის ერთადერთი დიდი სახელმწიფო, რომელმაც წამოაყენა იმ ძირეულ საკითხთა გადაჭრის ფართო პრაქტიკული პროგრამა, რომლებიც დიდად აღელვებენ კაცობრიობას.

როგორც ყოველთვის, ხაზგასმით აღნიშნა ამასთან დაკავშირებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტოიგმა, საბჭოთა კავშირმა „ლენინი მიაქცია გენერალური ასამბლეის მთავარი ყურადღება საერთაშორისო ცხოვრების ცენტრალურ პრობლემას.

საბჭოთა ინიციატივა, აღნიშნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სუგარეო საქმეთა მინისტრმა რიადმა, მსოფლიოს წინაშე დასახული პრობლემების არსს ეხება. ეგვიპტის წარმომადგენელმა, ისევე როგორც დისკუსიის მთელმა რიგმა სხვა მონაწილეებმა, მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს წინადადებისათვის, რომ სესიამ განიხილოს საერთაშორისო უშიშროების საკითხი, რაც. უეჭველად შეუწყობს ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლისა და ეფექტიანობის ამაღლებას. სირიის წარმომადგენელმა ტომემ აღნიშნა, რომ საბჭოთა წინადადებებს, რომელთა მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, როგორც მშვიდობის ინსტრუმენტის განმტკიცება, „უდიდესი ღირსებები აქვს“.

სესიის მონაწილეებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების ჯგუფის, მათ შორის საბჭოთა კავშირის წინადადებას „ქიმიური და ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის შეკმნის, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვისა და მისი მოსპობის საერთაშორისო კონვენციის დადების შესახებ“. ამ კონვენციის დადებას მხარი დაუჭირეს აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ბევრი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა.

ზოგადპოლიტიკურმა დისკუსიამ ცხადყო, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და ისრაელ აგრესორთა ხრიკები ახლო აღმოსავლეთში. მომდინარე სესიაზე აგრესორები სრულ მორალურ იზოლაციაში აღმოჩნდნენ.

თუმცა ვიეტნამის ომის საკითხი შეტანილი არ არის დღის წესრიგში, არ ყოფილა თითქმის არც ერთი ორატორი, ამ საკითხს რომ არ შეხებოდა. მხოლოდ ამერიკის აგრესიის უშუალო მონაწილეებმა, მაგალითად ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის წარმომადგენლებმა, მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას. ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი ნატოელი მოკავშირეც კი ან აშკარად აკრიტიკებდა ამერიკის ბინძურ ომს ვიეტნამში, ან არაორაზროვნად აგრძნობინებდა მსმენელებს, რომ ამ საკითხში მხარს არ უჭერს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

სესიის მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს ისრაელის აგრესიული ანექსიონისტური პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში. ყველა სოციალისტურმა ქვეყანამ, აზიისა და აფრიკის ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ გადაჭრით მოითხოვეს, რომ ისრაელმა უშენაზვნოდ გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან. ისრაელ აგრესორთა უშუალო ხელშემწყობებმა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებმაც კი ვერ გაბედეს გიგმართლებინათ ის ფაქტი, რომ ისრაელი უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, და იძულებული გახდნენ მხარი დაეჭირათ იმისათვის, რომ, რაც შეიძლება მალე შესრულდეს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია, როგორც ახლო აღმოსავლეთის მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების ერთადერთი შესაძლებელი საფუძველი.

თითქმის ყველა დელეგატმა გადაჭრით მოითხოვა, რომ რაც შეიძლება მალე მოისპოს კოლონიალიზმი და რასიზმი აფრიკის კონტინენტის სამხრეთში.

ზოგადპოლიტიკურმა დისკუსიამ ცხადყო ახალგაზრდა განვითარებადი სახელმწიფოების მზარდი საგარეო-პოლიტიკური აქტივობა, მათი მისწრაფება სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად იბრძოლონ იმპერიალიზმისა და ომის ძალების წინააღმდეგ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების დასაცავად, ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის სხდომა

პრაღა, 9 სექტემბერი. (საკდესი). **პრაღაში ო. ჩერნიკის თავმჯდომარეობით გაიმართა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის სხდომა,** როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, მთავრობამ მიიღო დადგენილება პოლიტიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ იმ მიზნით, რომ განახორციელოს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის რეზოლუცია და მიმართვა საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25-ე წლისთავის აღსანიშნავად შრომითი ინიციატივის გაშლის შესახებ. მთავრობამ დიდად დაიფასა „პირველი მაისის“ შახტის მაღაროელთა და მშრომელთა სხვა კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც ღირსშესანიშნავი წარმატებანი მიაღწიეს ნედლეულის გამო გაწეული შეჯიბრება საუკეთესო ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევისათვის. მთავრობამ ქვეყნის ყველა მოქალაქეს მიმართა მოწოდებით შეუერთდნენ ამ ინიციატივას.

ცნობაში აგრეთვე ნათქვამია, რომ მთავრობა ადგენს მომავალი წლისათვის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმას, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკის კოსოლიდაციის პროგრამის პროექტსა და 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის პირველ მონახაზებს.

მთელი ერთსულოვნებით

პრაღა, 9 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გაიმართა ჩეხიის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რეზოლუციაში, რომელიც პლენუმმა მიიღო, აღნიშნულია, რომ ჩეხიის პროფკავშირების წევრთა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ახალი ხელმძღვანელობის ღონისძიებებს, ემიჯნება მემარჯვენე და ანტისოციალისტურ ძალებს, უარყოფს მათ შეხედულებებსა და მეთოდებს. რეზოლუციაში ჩეხიის პროფკავშირების წინაშე დასახულია ამოცანა განავითარონ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების სულისკვეთებით საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობა, გააფართოონ კონტაქტები სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირულ ორგანიზაციებთან.

პლენუმმა გააანალიზა მათი თხოვნით ჩეხიის პროფკავშირთა საბჭოს წევრთა მოვალეობისაგან ი. ჩიგაკოვა, ვ. ფიშარი, ვ. ტომანი და ე. ვესელია. საბჭოს შემადგენლობიდან გამოიყვანეს ფ. კრიგელი, რ. სკრეჩეკი, ი. შეინი, ლ. ველენსკი და მ. დეორეაჩკოვა.

დაათვალიერეს ბერლინის სატელევიზიო კოშკი

ბერლინი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ი. კისელიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. კ. ლუტაკი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ვ. ტიაჟელნიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი რ. ფ. დემენტიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი იყვნენ ბერლინის სატელევიზიო კოშკში.

საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს კოშკის შინაგანი მოწყობილობა, ავიდნენ სათვალიერებელ ბაქანზე, რომელიც 200-ზე მეტი მეტრის სიმაღლისაა და იქიდან გადახედავს დედაქალაქის პანორამას.

საბჭოთა დელეგაციის წევრებს ახლდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბერლინის სოლოქო კომიტეტის პირველი მდივანი პაულ ფერნერი.

ალიკვეთოს პროვოკაცია

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი

ბერლინი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ დასავლეთ გერმანიის რევანშისტული ორგანიზაცია „სილეზიელ გერმანელთა სათვისტომო“ აპირებს ამა წლის 10-12 ოქტომბერს დასავლეთ ბერლინში მოაწყოს ეგრეთ წოდებული „დელეგატთა ფედერალური კონფერენცია“ დასავლეთ გერმანიის ნეონაცისტური პარტიის —ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დასავლეთ ბერლინის სენატსა და დასავლეთის სამ სახელმწიფოს, რომლებიც დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო უფუნქციებს ახორციელებენ, მოსთხოვა გადამწყვეტი ღონისძიებანი მიიღონ ამგვარი პროვოკაციების აღსაკვეთად, რაც შეესაბამება ევროპის უშიშროების და თვით დასავლეთ-ბერლინელი მოსახლეობის ინტერესებს.

**ქენე

საქართველოს ქალაქებიდან

იუბილარი კოლმეურნე

საზეიმო განწყობილება სუფევდა იმ დღეს გალის რაიონის სოფელ გუდავაში. კოლმეურნეებს, ახალგაზრდობას, სოფლის ინტელიგენციას გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის ეზოში მოეყარათ თავი და საქმიანი სხვბაასი გაემართათ. მათი თავშეყრის მიზეზი ღვაწლმოსილი კოლმეურნე სტეფანე ქუთელია იყო.

გალის რაიონული გაზეთის „ლენინელის" რედაქციისა და სოფელ გუდავის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის ინიციატივით აქ მოეწყო ვეტერანი კოლმეურნის, სტეფანე ისლამის-ძე ქუთელიას დაბადების 75 და საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ღვაწლმოსილი კოლმეურნის მიერ განვლილი შრომითი გზისა და ცხოვრების შესახებ მოხსენება წაიკითხა რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ი. ჩხვირკიამ.

ს. ქუთელია სოფლის სხვა მოწინავე ადამიანებთან ე. კუხალაშვილთან, ვ. ჩხვირკიასთან, ჯ. მეფორიასთან, ა. ჩხვირკიასთან ერთად თავდადებით იბრძოდა კოლექტივიზაციის გამარჯვებისათვის. მათ პირველებმა ჩაუყარეს საფუძველი სოფელში ჩაის კულტურას, რომელსაც დღეს კოლმეურნეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს. თუ 1935 წელს კოლმეურნეობაში იკრიფებოდა 10-15 ტონა ჩაის ფოთოლი, დღეს ამ ციფრმა 350 ტონას გადაჰკარბა. იუბილარი და მისი თანამოსაქმენი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პირველი საკოლმეურნეო წესდების პროექტის განხილვაში. ეს იყო 84 წლის წინათ. ახლაც გულდასმით განიხილავენ კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების პროექტს.

იუბილარ კოლმეურნეს გულთბილად მიესალმნენ კოლმეურნეები დ. რუხაია, კ. ბერძენია, რ. კემულარია, მასწავლებელი ვ. ხუბუა, გალის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი სოციალისტური შრომის გმირი ა. აბლოთია.

იუბილარს მიესალმნენ მოსწავლეები და საპატიო პიონერად აირჩიეს.

იუბილარმა დამსწრეთ გულთბილი მადლობა გადაუხადა მისი ღვაწლის ესოდენ დაფასებისათვის.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.



სნაპლოგენ ბალეტს

თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბთან მუშაობს საბალეტო წრე, სადაც ნორჩი მოცეკვავეები ეუფლებიან კლასიკურ ცეკვებს. სურათზე: საბალეტო კლასის პედაგოგი ე. ბალიბინა (მარცხნივ) კლასიკური ცეკვის გაკვეთილზე ნორჩ მოცეკვავეებთან.

ფოტო ს. კილაძისა.

პოლონური ნაწარმის გამოფენა

გათუმი. (საკ. კორ.). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის დაწესებულება „ციენმა" ბათუმში საკავშირო სავაჭრო პალატის ხელშეწყობით გახსნა ლაქებისა და საღებავების სპეციალიზებული გამოფენა.

გამოფენის მიზანია საბჭოთა სპეციალისტებს გააცნოს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ლაქსაღებავების მრეწველობის პროდუქცია, ხელი შეუწყოს ორი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარებას.

გამოფენაზე ექსპონირებულია გემების, ავტომობილების, მატარებლების საღებავები, დეკორაციული მინანქარი, პოლონური კოსმეტიკა.

„საქართველოს აგიტატორი" № 19

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის" მორიგი, მეცხრამეტე ნომერი.

ამაგდარი

ინსტიტუტის აუდიტორიებსა და დერეფნებში ყოველდღე შეხვდებით სიმპათიური გარეგნობის, ქალრით მოსილ სათნო ქალს, რომელსაც სიყვარულით ეგებებიან სტუდენტები, მისი კოლეგები. იგი გახლავთ თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ელემენტარული მათემატიკისა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკის კათედრის გამგე, პროფესორი დარეჯან რაჟდენის ასული ვაშაკიძე, რომელსაც ამ დღეებში დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის მათემატიკოსთა მრავალრიცხოვან კოლექტივში ბევრი მათემატიკოსი ქალია, რომელიც მაღალი მეცნიერული წოდებებით არის დამშვენებული. პირველი ქართველი ქალი კი, რომელმაც ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა, დ. ვაშაკიძე იყო.

დ. ვაშაკიძემ 1929 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მან თავისი მასწავლებლების, კერძოდ, ა. რაზმაძის ყურადღება მიიქცია როგორც შრომისმოყვარე და ნიჭიერმა სტუდენტმა. ამის შედეგი იყო ის, რომ უნივერსიტეტის კურსის დამთავრებისთანავე იგი მიწვეულ იქნა ასისტენტის თანამდებობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1933 წელს დ. ვაშაკიძე მოსკოვში მიემგზავრება ასპირანტურის კურსის გასავლელად. მან თავისი მომავალი სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზად ალბათობის თეორია აირჩია. ასპირანტურაში მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო ალბათობის თეორიის ერთ-ერთი გამოჩენილი რუსი მეცნიერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აწ განსვენებული ნ. სმირნოვი. დ. ვაშაკიძის სამეცნიერო აღზრდის საქმეში საგრძნობი წვლილი მიუძღვის აგრეთვე აკადემიკოს ა. კოლმოგოროვს.

1936 წელს დ. ვაშაკიძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. აღსანიშნავია, რომ ეს დაცვა მოეწყო ასპირანტურაში ყოფნის ვადის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე. ეს, როგორც ზემოთ აღინიშნეთ, პირველი შემთხვევა იყო ქართველი ქალის მიერ მათემატიკაში სამეცნიერო ხარისხის მოპოვებისა.

1936-1944 წლებში დ. ვაშაკიძე მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში დოცენტის თანამდებობაზე. იგი ამავე დროს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელიც არის.

1944 წელს დ. ვაშაკიძე ძირითადად გადადის თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც ამჟამადაც განაგრძობს ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მეცნიერი ქალი რამდენიმე სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის ნაშრომისა და სახელმძღვანელოს აეტორია, მისი სამეცნიერო ნაშრომები ხშირად ციტირებულია უცხოურ და ჩვენი ქვეყნის სოლიდურ მათემატიკურ ჟურნალებში. კერძოდ, მას შედგენილი აქვს პედაგოგიური ინსტიტუტების მსმენელებისათვის სამმოცანი მათემატიკური ანალიზის კურსი.

დ. ვაშაკიძე დიდად ერუდირებული, მაღალი პედაგოგიური თვისებებით დაჯილდოებული მასწავლებელია. მისი ლექციები დიდი პოპულარობით სარგებლობს მსმენელებს შორის.

დ. ვაშაკიძეს ნაყოფიერი და უმჯობესი მუშაობისათვის ბევრჯერ მიუღია ჯილდო, დაუმსახურებია მადლობა, იგი სკკპ წევრია 1941 წლიდან.

გაითვალისწინა რა ის დიდი ღვაწლი, რაც დარეჯან ვაშაკიძეს მიუძღვის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, და ის საგრძნობი წვლილიც, რაც მას შეტანილი აქვს სამეცნიერო და მეთოდური მოღვაწეობის სფეროში, თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ 1963 წელს დ. ვაშაკიძე აირჩია პროფესორის თანამდებობაზე.

უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დ. ვაშაკიძეს 1968 წელს პროფესორის წოდება დაუმტკიცა. ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსმა ა. კოლმოგოროვმა აღნიშნულ კომისიას გაუგზავნა დ. ვაშაკიძის დახასიათება, რომელშიც მაღალი შეფასება აქვს მიცემული მის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ამგვარად, დ. ვაშაკიძე არის აგრეთვე პირველი ქართველი ქალი მათემატიკოსი, რომელიც ღირსი გახდა პროფესორის მაღალი წოდებისა.

თუ რაოდენ დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა იუბილარმა 25 წლის მანძილზე თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობის დროს, აშკარად გამოჩნდა ამ ცოტა ხნის წინათ ინსტიტუტის მიერ იუბილარის პატივსაცემად გამართულ საღამოზე.

დ. ვაშაკიძე ამჟამადაც ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს თავის საყვარელ საქმეს — პედაგოგიურ მოღვაწეობას. ეუსურვებთ მას ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ წარმატებებს.

ბ. ხვედელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი;

ბ. მანია.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი.



მწვანით შემოსილ მთებს შორის ჩამჯდარი კურორტი ბორჯომი წლის ყოველ დროს მრავალ დამსვენებელს იზიდავს.

ყველაზე ძვირფასი და უნიკალური, რომლისთვისაც აქ ჩამოდის უამრავი დამსვენებელი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველი კუთხიდან, არის ბორჯომის ხაქვეყნად განთქმული მინერალური წყარო. **შ. სვანიძის** ფოტოზე, რომელსაც თქვენ ხედავთ, აღბეჭდილია სწორედ ბორჯომის წყაროს ახალი, თანამედროვე კონსტრუქციის შენობა. იგი სულ ორიოდე წლის წინათ აშენდა.

მატჩები, შედეგები

კიევის „დინამომ" საკუთარ მოედანზე მიიღო მოსკოვის „ტორპედო". მატჩის ანგარიშია 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ. გამარჯვების გოლი 90-ე წუთზე გაიტანა ბოგოვიკმა.

დონეცკის „შახტიორი" ბაქოს „ნეფტჩის" მასპინძლობდა. შეხვედრა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით ანგარიშით 0:1.

ბაინგართა „ექსელსიულის" ტურნირის კიდევ სამი მატჩი. ლიდერი — ერეკვნის „არარატი" შინ დამარცხდა მოსკოვის „ლოკომოტივთან" — 0:2. რევანში აიღო შუაზიელმა ფეხბურთელებმა. „შახტაკორმა" სვერდლოვსკში მოუგო „ურალმაშს" — — 2:1, ხოლო „კაირატმა" კუიბიშევში — „კრილია სოვეტოვს" — 1:0.

თასი — თბილისელ ფეხბურთელებს

ბურთები გაადგა მეკარეს

კისლოვოდსკი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). 17:16 — ასეთი უწვეული ანგარიშით დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალისტთა სამი დღის ბრძოლა ფიზკულტურის კოლექტივებს — თბილისის „სინათლესა" და მოსკოვის „სტრელას" ფეხბურთელებს შორის. გაიმარჯვა პრიზის შარშანდელმა მფლობელებმა — სამხრეთელებმა, რომლებმაც სათამაშო დროის 360 წუთის შემდეგ უფრო ზუსტად შეასრულეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები.

ვინაიდან ამ გუნდების მესამე მატჩიც დამთავრდა ფრედ — 0:0, ტალინელმა მსაჯმა ხიარმსმა ორივე გუნდის კარში დანიშნა ოც-ო�d პენალტი. ხუთ-ხუთი დარტყმიდან პირველი სერია მეტოქეებმა 100 პროცენტით შეასრულეს, მეორე სერიაში გაიტანეს მხოლოდ ორ-ორი გოლი. მესამეში — ისევ ხუთ-ხუთი ზუსტი დარტყმა იყო, და მხოლოდ მეოთხეში თბილისელებმა მეტოქის კარში გაიტანეს ხუთივე ბურთი, ხოლო მოსკოველებმა — ოთხი.

საინტერესოა, რომ პენალტების დარტყმის დროს „სინათლის" მეკარემ გუგუშვილმა... გაიტანა ოთხი ბურთი ოთხი დარტყმით.

დაიწყო ქალთა ჩემპიონატი

მაშ ასე, გორის ზონალურ ტურნირზე ჩამოვიდნენ უძლიერესი საბჭოთა მოჭადრაკეები. აქ არ არიან მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და მისი ამასწინანდელი მეტოქე ალა კუშნირი.

8 ოქტომბერს გიორგი ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში ხაზეიმო ვითარებაში გაიხსნა ჩემპიონატი. შეკრებილთ მოკლე სიტყვით მიმართა შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. ბერიანიძემ, რომელმაც ჩემპიონატის მონაწილეებს შემოქმედებითი წარმატებანი და ლამაზი პარტიები უსურვა.

ჩემპიონატის გახსნაზე გამოვიდნენ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი მ. ეფრემიძე, მეექვსე საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. ნოზაძე, ქალაქის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ჯ. ინჯია, რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენელი თ. გიორგაძე.

სიტყვა ეძლევა შეჯიბრების მთავარ არბიტრს, საერთაშორისო კატეგორიის მსჯეს ტ. კრიუკოვას. იგი ტურნირს გახსნილად აცხადებს და წილს ყრის. ეი მისი შედეგები: 1. **ოლგა კაკაცოვა** (მოსკოვი), 2. **მაია რანინკუ** (ტალინი), 3. **ლუბოვ კრისლოლი** (ლენინგრადი), 4. **ტატიანა ზატულოვსკაია** (ბაქო), 5. **ელენე რუბცოვა** (მოსკოვი), 6. **ოლგა ივანტივეა** (მოსკოვი), 7. **ნანა ალექსანდრია** (თბილისი), 8. **ეკატერინა ბორისენკო** (ტაშკენტი), 9. **ოლგა პეიკო** (სოჭი), 10. **ბენიტა ვილენტრე** (რიგა), 11. **მარია ფული** (ლვოვი), 12. **ნატალია კონოპლიოვა** (მოსკოვი), 13. **ლუბოვ შადრინა** (ყურსკი), 14. **თამარ ბოლოვინი** (მინსკი), 15. **ოლგა ანდრეევა** (ხარკოვი), 16. **თამარ ხუბაშვილი** (თბილისი), 17. **აიდა მუსლიმოვა** (ალმა-ატა), 18. **ლიდია სემიონოვა** (ხმელნიცკი), 19. **ვალენტინა კოზლოვსკაია** (პიატიგორსკი), 20. **კირა ზვორიკინა** (მინსკი).

ჭადრაკის მოყვარულებმა, ალბათ, ყურადღება მიაქციეს იმას, რომ მონაწილეთა შორის არ არის ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი ალა ჩაიკოვსკაია. მან უკანასკნელ მომენტში უარი თქვა ტურნირში მონაწილეობაზე და მის ნაცვლად დაშვებულია ოლგა პეიკო.

მოჭადრაკეთა სახელით გამოვიდა საერთაშორისო ოსტატი კირა ზვორიკინა. მან მადლობა გადაუხადა გორის საზოგადოებრიობას ტურნირის შესანიშნავი მოწყობისათვის და იმედი გამოთქვა, რომ ქვეყნის ჩემპიონატი ხელს შეუწყობს ქალაქის მცხოვრებთა შორის ამ უძველესი და ბრძნული თამაშის პოპულარიზაციას.

ქალაქის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და სამრეწველო საწარმოებმა დააწესეს ბევრი სპეციალური პრიზი მოჭადრაკეებისათვის. (საქდესი).

გუშინ გაიმართა პირველი ტური. ალექსანდრიამ დაამარცხა გოლოვეი, რუბცოვამ — ხუგაშვილი, კრისტოლმა — სემიონოვა. ყაიმით დამთავრდა ზვორიკინა-კაცკოვასა და ზატულოვსკაია-მუსლიმოვას პარტიები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ოდესა, 8 ოქტომბერი. ტური, ეტყობა, ს